ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N31

25.06.2019
12:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ოთახი N2-01

მიმდინარე წლის 25 ივნისს, 12:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), ლევან ჯაფარიძე (კომისიის წევრი), ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი), დავით რურუა (კომისიის წევრი) და შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსი ნინო კვეტენაძე და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 6 (ექვსი) წევრის დასწრებით.

სხდომას თავმჯდომარეობდა - გიორგი ჩაკვეტაძე

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ: №01.11.09.001.053; №01.11.09.001.158; №01.11.09.001.132; №01.11.09.001.178) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის“ (ს/ნ:201990079) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი *(04.06.2019, 12-0319155134-03).* (მომხსენებელი - ნინო კვეტენაძე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსი)
2. მიმდინარე საკითხები - (მომხსენებელი- გიორგი ჩაკვეტაძე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა, კომისიას წარუდგინა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ: №01.11.09.001.053; №01.11.09.001.158; №01.11.09.001.132; №01.11.09.001.178) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის“ (ს/ნ:201990079) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ“ განკარგულების პროექტი.

ნინო კვეტენაძე - მოგახსენებთ, რომ აღნიშნული პროექტი გახლავთ ა(ა)იპ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის (ს/ნ: 201990079) ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონი, სოფლის შემოგარენში არსებული 7 204 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.09.001.053); ქალაქ თბილისში, რადიოქარხნის ტერიტორიის მიმდებარედ არსებული 824 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.09.001.158); ქალაქ თბილისში, გლდანის VII მ/რ, კორპუსი N15-ის მიმდებარედ არსებული 4 836 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.09.001.132) და ქალაქ თბილისში, სოფელი გლდანი, გლდანის შემოგარენში არსებული 1 309 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.09.001.178) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად, 1 (ერთი) ლარად პრივატიზება. ჯამში ოთხივე მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენს 14 173 კვ.მ. რაც გადაეცემა ფეხბურთის ფედერაციას სპორტული მიმართულებით დარგის, კერძოდ ფეხბურთის განვითარების, 2020 წლის ბოლომდე საფეხბურთო მოედნის მოწყობის და სპორტული პროფილის მუდმივად შენარჩუნების ვალდებულებით.

სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მხრიდან ინფრასტრუქტურის მოწესრიგება არაერთ ქალაქში ხდება. მსგავს წინადადებას კომისიამ მხარი დაუჭირა, როცა ვარკეთილში ფეხბურთის ფედერაციისთვის იდენტური პირობებით მიწის გადაცემასთან დაკავშირებით იყო წარმოდგენილი პროექტი. სულ მალე გლდანშიც თანამედროვე სტანდარტების სტადიონი გვექნება გასახდელებით, ტრიბუნებით, დიდი და მცირე ზომის ხელოვნურსაფარიანი სავარჯიშო მოედნებით, სადაც ვარჯიშს შეძლებენ, როგორც კონკრეტული კლუბები, ასევე ასაკობრივი ნაკრებები და შესაძლებელი იქნება სხვადასხვა დონის მატჩების გამართვა. მნიშვნელოვანია აღნიშნული ინფრასტრუქტურის მშენებლობა, როგორც ფეხბურთის განვითარებისათვის, ასევე ახალგაზრდების სპორტში ჩართულობის კუთხით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ: №01.11.09.001.053; №01.11.09.001.158; №01.11.09.001.132; №01.11.09.001.178) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის“ (ს/ნ:201990079) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ“ განკარგულების პროექტი (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, დავით ჭელიძე, ლევან ჯაფარიძე, ავთანდილ ცინცაძე, დავით რურუა, შალვა ოგბაიძე - (6), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - (0).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ უმრავლესობით გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ: №01.11.09.001.053; №01.11.09.001.158; №01.11.09.001.132; №01.11.09.001.178) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის“ (ს/ნ:201990079) პირდაპირი განკარგვის ფორმით

პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ“ განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მიმდინარე საკითხების შესახებ ინფორმაცია, კომისიას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ გააცნო.

გიორგი ჩაკვეტაძე - პირველ რიგში გილოცავთ მინსკის ევროპულ თამაშებზე მიღწეულ ისტორიულ შედეგს, ამასთან დაკავშირებით კარგი იქნება, რომ პროექტის ფარგლებში საკრებულოში ვუმასპინძლოთ წარმატებულ სპორტსმენებს და მადლობა გადაეუხადოთ ქვეყნისათვის გაწეული შრომისთვის. რაც შეეხება სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტებს, ვარკეთილის მულტიფუნქციური ცენტრის პროექტმა გაიარა ,,სსიპ. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს'' ექსპერტიზა და ელოდება საძიებლო ტენდერის შედეგებს, ხოლო დიდი დიღმის მულტიფუნქციური ცენტრის პროექტის ექსპერტიზა ამ დრომდე მიმდინარეობს. ასევე ჩვენს მიერ ინიცირებულ პროექტებს *,,როდესაც სპორტი ცვლის სამყაროს''* შემაჯამებელი ღონისძიების გამართვას ვფიქრობთ იმ სკოლების მოსწავლეებისთვის, რომელ საჯარო სკოლებსაც ვსტუმრობდით კამპანიის ფარგლებში. აქტიურ ფაზაშია ჩვენს მიერ ინიცირებული პროექტი *,,მინი ფეხბურთის სასკოლო ლიგა'',* რომელსაც ძალიან დიდი პოზიტიური გამოხმაურება მოყვა, როგორც მონაწილე გუნდების, ასევე სხვა ახალგაზრდების, მშობლების და საჯარო სკოლების ადმინისტრაციების მხრიდან, ელექტრონულ ფოსტაზე დაგეგზავნებათ ზუსტი კალენდარი თამაშების შესახებ და თხოვნა იქნება ბიუროს წარმომადგენლები მაინც, რომ მივიდნენ აღნიშნულ მატჩებზე დასასწრებად. ასევე მოგახსენებთ, რომ მინი-სტადიონების საკითხთან დაკავშირებით ვეძებთ ორგანიზაციას, რომელიც დაგვეხმარება შესაბამისი კვლევის ჩატარებაში.

აზრი გამოთქვეს:

ავთანდილ ცინცაძე - საბურთალოს რაიონში დიდი დიღმის ტერიტორიაზე მულტიფუნქციური ცენტრის მშენებლობის ადგილზე მოსახლეობისთვის გაცნობითი ხასიათის პრეზენტაციის მოწყობისთვის, უკვე დავიწყეთ მომზადება ბიუროსთან ერთად, რათა ექსპერტიზის გავლის შემდეგ, მშენებლობის დაწყებამდე მოსახლეობამ ზუსტად იცოდეს, თუ რა სახის ინფრასტრუქტურა აშენდება და რამდენ სპორტულ სექციას, თუ კულტურულ წრეს მოემსახურება აღნიშნული ცენტრი მშენებლობის დასრულების შემდეგ.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ მოიწონა ინიციატივა მინსკის 2019 წლის ევროპული თამაშების გამარჯვებული სპორტსმენების საკრებულოში მიღების და ასევე დიდი დიღმის ტერიტორიაზე მულტიფუნქციური ცენტრის მშენებლობის არეალში მცხოვრები მოსახლეობისთვის გაცნობითი ხასიათის პრეზენტაციის გაკეთების თაობაზე გადაწყვეტილება.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი ჩაკვეტაძე